



# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

23 თებერვალი 2011 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ  
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე, მომხსენებელი: ქეთევან ღუგლაძე

მოსამართლეები: ლეილა მამულაშვილი, მერაბ ლომიძე

სხდომის მდივანი : ლელა მილდენბერგერი

აპელანტი – შპს „სუპერსერვისი-ლის“ დირექტორი ზაურ გონაშვილი

მოწინააღმდეგე მხარე – თბილისის სააღსრულებო ბიურო

მესამე პირი – ზაურ შერგელაშვილი

დავის საგანი – აუქციონის ბათილად ცნობა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება : თბილისის კრწანისი – მთაწმინდის რაიონული სასამართლოს  
2003 წლის 06 ივნისის დეკემბრის გადაწყვეტილება

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 06 ივნისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს „სუპერსერვისი-ლის“ დირექტორის სარჩელი თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2001 წლის 14 დეკემბერს ჩატარებული აუქციონის ბათილად ცნობის თაობაზე; სადაო აუქციონზე გასხვისებული იქნა შპს „სუპერსერვისი-ლის“ კუთვნილი უძრავი ქონება - ბენზინგასამართი სადგური შენობა-ნაგებობით, მდებარე თბილისში მარჯვენა სანაპიროს ქ.№5-ში, რომელიც შეძენილი იქნა მესამე პირის ზ. შერგელაშვილის მიერ 26840 ლარად; აუქციონი გაიმართა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 24

ნოემბრის გადაწყვეტილებაზე გაცემული საღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, კრედიტორის შპს „მზეკაბანის“ სასარგებლოდ, მოვალე შპს „სუპერსერვისი-ლის“ საწინააღმდეგოდ; ამოსაღები თანხა - 93 395 აშშ დოლარი და 47241 ლარი; ს.ფ. 204-208. ტომი 1;

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 06 ივნისის ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „სუპერსერვისი-ლის“ დირექტორმა ზაურ გონაშვილმა ; ს.ფ.213-216;

თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2004 წლის 15 მარტის განჩინებით შეჩერდა წარმოება შპს „სუპერსერვისი – ლის“ სააპელაციო საჩივარზე მხარეთა შორის მიმდინარე სამოქალაქო დავის გადაწყვეტამდე; ს.ფ.311-323; კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილი იქნა, რომ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა შპს „მზეკაბანის“ სარჩელი და შპს „სუპერსერვისი-ლის“ გადასახდელად დაეკისრა 93 395 აშშ დოლარი და 47241 ლარი , გაუქმებული იქნა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა საფუძველზე;

საქმის წარმოების შეჩერების საფუძველების აღმოფხვრის გამო (სამოქალაქო დავის დასრულება) საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით მხარეებს, მათ შორის არც აპელანტს სასამართლოსთვის არ მოუმართავთ; სასამართლომ საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმის წარმოების შეჩერების აღმოფხვრის საფუძველების მოძიება და დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2007 წლის 09 თებერვალს გამოიტანა გადაწყვეტილება შპს „მზეკაბანის“ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე და შპს „სუპერსერვისი-ლის“ დააკისრა 249724 ლარის გადახდა; ს.ფ.457- 465; ტომი 2; აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე შპს „სუპერსერვისი-ლის“ დირექტორის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო პალატის 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინებით; ს.ფ.36; ტომი 3; მითითებული განჩინება ამ სახით შევიდა ძალაში და 2007 წლის 09 თებერვლის გადაწყვეტილებაზე გაიცა საღსრულებო ფურცელი; ს.ფ.61-62; ტომი3;

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2010 წლის 22 დეკემბრის განჩინებით განახლებული იქნა საქმის წარმოება შპს „სუპერსერვისი –ლის“ სააპელაციო საჩივარზე თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 06 ივნისის გადაწყვეტილებაზე;

**სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი, შემდეგ გარემოებათა გამო:**

სააპელაციო სასამართლო უპირველესად აღნიშნავს, რომ შპს „სუპერსერვისი-ლის“ სააპელაციო საჩივარი წარმოდგენილია 2003 წლის 06 ივნისის გადაწყვეტილებაზე; სააპელაციო საჩივარზე წარმოება შეჩერებული იქნა 2004 წლის 15 მარტის განჩინებით; საქმის მასალებით დგინდება, რომ აპელანტს საქმის წარმოების შეჩერების საფუძველის აღმოფხვრის გამო - 2007 წლის დეკემბერში სამოქალაქო დავის დასრულება, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით სასამართლოსთვის არ მოუმართავს; ხოლო სასამართლო ამავე პერიოდისა და შემდეგ ვერ ახდენს აპელანტთან დაკავშირებას ვერც ერთ საქმეში არსებული მისამართის მიხედვით; კერძოდ, სააპელაციო საჩივარში აპელანტის მიერ საკონტაქტო მისამართად მითითებულია : თბილისი, ჭონქაძის ქ.№18-ა, რაც გახლავთ მისი ადვოკატის ნ. ჩერქეზიას მისამართი; სააპელაციო საჩივარი ასევე ხელმოწერილია ნ. ჩერქეზიას მიერ; ს.ფ, 149; 213. ტომი1; საქმის ფურცელ 149-

ზე წარმოდგენილი მინდობილობით ნათელა ჩერქეზიას უფლებამოსილების ვადა განსაზღვრულია 2004 წლის 18 თებერვლამდე; ამასთან, სააპელაციო სასამართლოში აპელანტის წარმომადგენელად მონაწილეობდა გურამ ნიკურაძე 2003 წლის 16 დეკემბრის მინდობილობის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2008 წლის 17 დეკემბრამდე; გურამ ნიკურაძის საკონტაქტო მისამართად საქმეში დაფიქსირებულია დ. აღმაშენებლის 41; ს.ფ.249-250, 257; საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ სააპელაციო სასამართლო საქმის წარმოების შეჩერებამდე და მას შემდეგ, 2005 წალმდე აპელანტთან კონტაქტს ახდენდა სწორედ მითითებული მისამართების მეშვეობით; ს.ფ.311-366 ; ტომი1;

2005 წლის 01 მარტს სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი იქნა შპს „სუპერსერვისი-ლის“ დირექტორის ზაურ გონაშვილის“ განცხადება საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, რა დროსაც მან თავის საკონტაქტო მისამართად დააფიქსირა: მარჯანიშვილის ქ.№26-ა; ს.ფ.365- 3-72, ტომი1; საქმის მასალების მიხედვით დგინდება , რომ სააპელაციო სასამართლომ, როგორც საქმის წარმოების განახლების საფუძველების მოკვლევისას, ისე სასამართლოს სხომებზე აპელანტის მოსაწვევად ვერ შეძლო აპელანტთან დაკავშირება, ვერც დირექტორის ზ. გონაშვილის მიერ მითითებული საკონტაქტო მისამართის (მარჯანიშვილის ქ.№26-ა) მიხედვით და ვერც საწარმოს იურიდიული მისმართის ( მტკვრის მარჯვენა სანაპირო №5) მიხედვით; სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან სასამართლომ ხანგრძლივი დროის მანძილზე მიუხედავად არაერთი მცდელობისა ვერ შეძლო აპელანტის მოძიება, მის მიერ საქმეში დაფიქსირებული ვერც ერთი მისამართის მიხედვით, მიჩნეული უნდა იქნას, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარში არასწორად მიუთითა თავისი მისამართი, რაც ქმნის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს, საქართველოს ადმ. საპ. კოდექსის 1.2. მუხლის და სსსკ-ის 275-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად;

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით ყოველივე ზემოთ აღნიშნული ასევე ადასტურებს აპელანტის მიერ საქმის წარმოების მიმართ ინტერესის დაკარგვას, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს იმ ფაქტობრივი გარემოებით, რომ სამოქალაქო დავა, რომლის დასრულებამდეც შეჩერებული იყო მოცემული ადმინისტრაციული დავის განხილვა, დასრულდა შპს „სუპერსერვისი –ლის“ საწინააღმდეგოდ; კერძოდ, მას დაეკისრა 249724 ლარის გადახდა შპს „მზეკაბანის“ სასარგებლოდ, ხოლო სადაო აუქციონი გამართული იქნა სწორედ „მზეკაბანის“ ინტერესებში;

სააპელაციო სასამართლო საქმის მიმართ ინტერესის დაკარგვის საფუძველით საქმის წარმოების დასრულებასთან დაკავშირებით მიუთითებს ევროსაბჭოს ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლოს პრეცედენტზე, კერძოდ, 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებაზე (განაცხადი №25079/05 – რომნ ფულარია საქართველოს წინააღმდეგ ), რომლითაც შეწყდა საქმის განხილვა, ამოღებული იქნა განაცხადი საქმეთა სიიდან, ვინაიდან გარდაცვლილი არ იქნა წარდგენილი სასამართლო პროცესზე, არ იქნა გამოვლენილი არცერთი კანონიერი მემკვიდრე, რომელიც გამოთქვამდა სურვილს წარემართა აღნიშნული საქმე, რის გამოც კონვენციის 37 მუხლის §1 (ც) შესაბამისად, გაუმართლებლად იქნა მიჩნეული საქმის გაგრძელება.

აპელანტს უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 150 ლარის გადახდა სააპელაციო საჩივარზე წარმოებისათვის, ვინაიდან მას სააპელაციო სასამართლოს 2003 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით გადავადებული ჰქონდა აღნიშნული ბაჟის გადახდა საქმეზე შემაჯავებელი გადაწყვეტილების მიღებამდე; ს.ფ.237;

## ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ

### დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „სუპერსერვისი –ლის“ სააპელაციო საჩივარი თბილისის კრწანისი – მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 06 ივნისის დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩეს განუხილველად;
2. დაეკისროს შპს „სუპერსერვისი-ლის“ სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მეშვეობით (თბილისი გრ. რობაქიძის გამზ. №7<sup>ა</sup>), მხარისათვის განჩინების ასლის ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში.

თავმჯდომარე

ქ. დუგლაძე

მოსამართლეები

ლ. მამულაშვილი

მ. ლომიძე.